



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

08 ოქტომბერი 2024



N 21/10469

მოქალაქე ანა აბაშიძეს
მობ: 592142002

ელ.ფოსტა: foi+request-3146-abbf4c5e@askgov.ge

ქალბატონო ანა,

თქვენი მიმდინარე წლის 20 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაგზავნილი N24985 წერილის პასუხად, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ შემდეგს:

- 2024 წლის 20 აგვისტოს მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე რამდენი ადრეული გაფრთხილების სისტემა არის დამონტაჟებული და სად - გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად ტერიტორიების მიხედვით, რამდენადაც შესაძლებელია.**

ადრეული გაფრთხილების სისტემა გულისხმობს სტიქიის დაწყებამდე სხვადასხვა წინსწრებით: ზემოკლე (რამდენიმე საათი), მოკლე (1 დღე-ღამე), საშუალო (3 დღე-ღამე) ან გრძელვადიანი (3 დღე-ღამეზე მეტი) გაფრთხილებების მომზადება/გავრცელებას.

ადრეული გაფრთხილება წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ ვარაუდს, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა სახის ინფორმაციული პროდუქტების და მონაცემების, მაგ.: ამინდის პროგნოზის რიცხვითი მოდელების, სინოპტიკური რუკების, სატელიტური, რადარული, ჰიდროლოგიური მოდელების შედეგებისა და სხვა სახის ინფორმაციის ანალიზს. დღეისთვის ამ ტიპის შეტყობინებების გავრცელება საკმაოდ ეფექტურია ისეთი სტიქიური მოვლენების მიმართ, როგორებიცაა ძლიერი ნალექები, წყალდიდობა-წყალმოვარდნები, სეტყვა, თოვლის ზვავები, ძლიერი ქარები, გვალვა, ატმოსფერული ჰაერის ექსტრემალურად მაღალი ან დაბალი ტემპერატურები და სხვა.

ადრეული გაფრთხილების სისტემა შედგება რამდენიმე ქვესისტემისგან. ესენია: მეტეოროლოგიურ და ჰიდროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე დაკვირვების მონაცემთა და სინოპტიკური პროდუქციის მიღება/გადაცემის, დაკვირვების მონაცემთა დამუშავების, ჰიდრომეტეოროლოგიური პროგნოზების შედგენის და მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გაფრთხილებების მომზადება/გავრცელების ქვესისტემები.

დღეისთვის გარემოს ეროვნულ სააგენტოში ფუნქციონირებს ადრეული გაფრთხილების სისტემის ზემოთჩამოთვლილი ქვესისტემები. თუმცა თითოეული მათგანი შემდგომ სრულყოფას და განვითარებას საჭიროებს.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების მიზნით, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, გაეროს განვითარების პროგრამის - „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“, რომელიც დაფინანსებული მწვანე კლიმატის ფონდის, შვეიცარიის განვითარებისა და

თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და უშუალოდ საქართველოს მთავრობის მიერ, ბუნებრივი რისკების შემცირების მიზნით თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

- ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის გაფართოების მიზნით, შეძენილ იქნა 154 ერთეული მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური პარამეტრების გამზომი ავტომატური ხელსაწყო-დანადგარი - სადგური და საგუშაგო. საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა რეპრეზენტატულ ადგილებზე უკვე დამონტაჟებულია 119 ერთეული სადგურ/საგუშაგო. მიმდინარეობს მათი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების არსებულ ქსელში ინტეგრირების პროცესი.
- შეძენილ იქნა და ექსპლოატაციაში გაეშვა მაღალი წარმადობის კომპიუტერი, რომელიც ამინდის და ჰიდროლოგიური რიცხვითი მოდელების თვლისთვის გამოიყენება;
- დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში (ქ. ქუთაისში და ქ. თბილისთან მიმდებარე სოფ. კიკეთში) დამონტაჟდა და გაიმართა 2 ერთეული თანამედროვე მეტეოროლოგიური რადარი. ერთი მათგანი შეძენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, ხოლო მეორე საქართველოს მთავრობის მიერ. აღნიშნული რადარები თითქმის მთლიანად აშუქებენ საქართველოს ტერიტორიაზე ღრუბელთა ველებს და იძლევიან ძლიერი ნალექების და მასთან დაკავშირებული წყალმოვარდნების მაღალი ალბათობით პროგნოზირების საშუალებას;
- განხორციელდა ევროპის ამინდის საშუალოვადიანი პროგნოზის ცენტრში (ECMWF) საქართველოს ასოცირებისათვის საჭირო პროცედურები და ამ ორგანიზაციის პირველადი და ყოველწლიური (პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში) საწევრო გადასახადის გადახდა. აღნიშნული ღონისძიება იძლევა ამინდის პროგნოზირების სფეროში მსოფლიოს ერთერთი მოწინავე ცენტრის მიერ მომზადებულ სინოპტიკურ პროდუქციასთან სრულყოფილად და ოპერატიულად წვდომის საშუალებას. ეს კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის პროგნოზების ხარისხს;
- ქვეყნის მასშტაბით, მდინარეთა 11 აუზში შემუშავდა წყალდიდობის, თოვლის ზვავების, სეტყვის, გვალვისა და ძლიერი ქარების საფრთხეების რუკები.

2. შოვში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, თუ შეიძინა სახელმწიფომ ადრეული გაფრთხილების ახალი სისტემები და სხვადასხვა ტერიტორიაზე განათავსა - ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შესყიდვისა და იმ ტერიტორიების შეახებ, სადაც ისინი განათავსეს.

შოვში მომხდარი სტიქიური მოვლენის შემდგომ სახელმწიფომ შეიძინა 30 ერთეული მეტეოროლოგიური სადგურ/საგუშაგო, რომლის დამონტაჟებაც დაგეგმილია 2025-2026 წლებში. შესყიდვის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე. აღნიშნული დაკვირვების პუნქტების განთავსების ლოკაციების შერჩევა ამჟამად მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგის სისტემები არ წარმოადგენს ადრეული გაფრთხილების სისტემას. იგი მისი შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

3. შოვში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ ადრეული გაფრთხილების ახალი სისტემების შექმნა არ მომხდარა, უკვე არსებული (არსებობის შემთხვევაში) ხომ არ დამონტაჟებულა ახალ ტერიტორიებზე - გთხოვთ, პასუხი მოგვაწოდოთ ტერიტორიების მიხედვით.

იხილეთ #1 კითხვის პასუხი.

პატივისცემით,

ნატო სულუაშვილი

ნ. სულუაშვილი

სამმართველოს უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

<https://edocument.ge/mea/public/#/10469-21-2-202410081740>

